

პანტანო პალკო

რამდენიმე პალკოს უმსახეპ

ადამიანის განათლებულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ენის სიწმინდის, ზეპირი მეტყველებისა თუ წერის კულტურის დააცვაა. ენის სიწმინდეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მედიის (პრესა, ტელევიზია, რადიო, ელექტრონული მედია) წარმომადგენლები და მთარგმნელები.

ჩვენს სინამდვილეში ფრიად სავალალო მდგომარეობაა კალკების გამოყენებისას.

სესხება ენის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. მაგრამ მეორე უკიდურესობას წარმოადგენს განუკითხავად შემოტანა უცხო სიტყვებისა მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არის, თუ სათანადო სიტყვა შეიძლება დავძებნოთ საკუთარ ლექსიკურ ფონდში ანდა ვაწარმოოთ არსებულ სიტყვათაგან, სესხება გაუმართლებელია“ (ჩიქობავა 1952, 115).

მიუხედავად ამისა, ხშირია როგორც სინტაგმური, ასევე სემანტიკური კალკირების პროცესი, რომელიც თანდათან ეძლევა ქართულ ენას და ნელ-ნელა მკვიდრდება. ამჯერად საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას შევეხებით, თუმცა ბევრის დასახელება შეიძლება.

ა. სასიათი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვას სამი მნიშვნელობა აქვს: 1. ადამიანის სულიერ თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც მის ქცევებში ვლინდება, — ზნე, **მტკიცე სასიათი**. — **ახირებული სასიათი**. — სიბერეში **სასიათი** გაუფუჭდა; 2. სულიერი განწყობილება, — გუნება: **კარგ სასიათზე**; 3. რისამე თვისება. საუბარს კამათის **სასიათი** მიეცა. — ისტორიული **სასიათის** რომანი. როგორმე **კარგ სასიათზე** დადგება. — როგორიმე **სასიათი** (მნიშვნ. 2) შეექმნება (ქეგლ 1986).

როგორც განმარტებიდან ვნახეთ, ქართულში **სასიათი** არის სულიერი მდგომარეობა, რომელიც მრავალგვარია. არსებობს: მტკიცე, კარგი, ხალისიანი, ახირებული, მყავე, უყმური, მძიმე, აუტანელი...

დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

„ის საკმაოდ **მტკიცე სასიათის** მშვენიერი ქალი დადგა“ (ბაქანიძე 1992);

„მისი ლამაზი სახის შემხედვარე ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასეთი **მტკიცე სასიათი** ექნებოდა“ (მალრაძე 1970);

„სვანი მამაკაცები ფიცხი, **მტკიცე სასიათით**... გამოირჩევიან“ („სარკე“);

„გრეგორი პეკს მაშინვე შეუყვარდა პარტნიორი ქალიშვილი, მოიხიბლა მისი **მტკიცე სასიათით**“ („TV პრ.“);

„...მაგრამ იგი **მტკიცე სასიათის** აღმოჩნდა“ („სოფლ. ცხოვ.“);

„...გაუქვაცობამ და **ხასიათის სიმტკიცემ** იგი სანუკვარ მიზნამდე... მიიყვანა“ („სარკე“);

„აქ კი უკვე **ხასიათის სიმტკიცე** ქრისტიანამ გამოიჩინა“... („თბ.-ები“);

„ძალიან **ძლიერი ხასიათის** ქალია“ (ჩხეტიანი 2007);

„**ძლიერი ხასიათი** მას მშობლებისაგან ერგო მემკვიდრეობით“ („სარკე“);

„მის გამოხედვაში მაინც იგრძნობოდა **გაუტყნელი ხასიათი**“... (ჩხეტიანი 2007);

„ყოველთვის ძალიან **შეუბოვარი ხასიათი** ჰქონდა“ („თბ.-ები“);

„...**ხასიათი მძიმე** ექნება თუ მსუბუქი, ორ კვირას აიტან“ (იქვე);

„— მიმაჩნდა, რომ **მძიმე ხასიათი** ჰქონდა...“ („სარკე“);

„მე უფრო **რბილი ხასიათი** მაქვს“ (იქვე);

„მთავარია, **კარგი ხასიათი** ჰქონდეს და შინაგანად ვეწყობოდეთ ერთმანეთს“ (იქვე);

„დროთა განმავლობაში ძალიან **ექვიანი ხასიათი** გამოაჩნდა“ (იქვე);

„...დიდად არც უკვე ლეგენდადქცეული ბერის **ცუდი ხასიათის** გამო სწუხდა“ („TV პრ“);

„**ჯიუტი ხასიათიც** მაქვს“ („თბ.-ები“);

„თავისი **ხისტის ხასიათის** გამო კლასში კონფლიქტურობა არ ჰქონია“ („სარკე“);

„ისინი ერთმანეთს ვერ უგებდნენ, **განსხვავებული ხასიათი** ჰქონდათ“ (იქვე);

„ძალზე **არაერთგვაროვანი ხასიათი** ჰქონდა, ემოციური იყო“... („ახ. ივერ.“);

„სოლო გულკეთილი ყმაწვილი იყო, მაგრამ **უხასიათობის** გამო დათამ დაიმორჩილა“ (ჯავახიშვილი 2006).

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში აზრი ნათლად და მკაფიოდაა გადმოცემული, სათქმელი სრულიად გასაგებია.

„როცა **ხასიათზეა**, საორტული ცხოვრებითაც კავდება“... („სარკე“).

ამ ბოლო შემთხვევაში **ხასიათი**, მართალია, მსაზღვრელის გარეშეა გამოყენებული, მაგრამ კარგ გუნებას აღნიშნავს.

„მიუღქით მას, როგორც პატარას... რომელსაც აქვს თავისი **ხასიათი**, სურვილები“ („სარკე“);

„გოგასაგან მიჩვეული იყო უცერემონიო გამოსვლებს პირველად ბრაზობდა, მერე მიხვდა — ეს იყო **ხასიათი**“ (იქვე);

„მაგრამ ამავე დროს ეს მის **ხასიათზე** მეტყველებს...“ (ბაქანანიძე 1992).

ბოლო სამ შემთხვევაში კი, ეს სიტყვა ხასიათის თავისებურებაზე მიუთითებს, მაგრამ ხაზგასხმულია არა მტკიცე ან ძლიერი ნებისყოფა, არამედ ადამიანის ბუნება.

გაუგებარია, მაგრამ **ხასიათის** გამოყენებას სრულიად სხვა მნიშვნელობითაც ვხვდებით, რუსული ენის მეშვეობით ენაში სინტაგმის — **მტკიცე // შეუბოვარი ხასიათი** — ერთი სიტყვით გამოხატვის ტენდენცია მკვიდრდება:

„**ხასიათის** გოგონა“ („სარკე“);

„მას ჰქონდა **ხასიათი** და ღირსებაც“ (ძოწენიძე 1977);

„როცა პირველად ინსტიტუტში ვერ... ჩავაბარე, მერე უკვე **ხასიათი** გამოვიჩინე“ („TV პრ.“);

„მან მაინც მოახერხა **ხასიათის** გამოვლენა“ (ტ. 2);

„ფრიცმა **ხასიათი** გამოამჟღავნა და მამას მაგიდაზე სამსახურიდან გათავისუფლების განცხადება დაუდო“ („რეიტ.“);

„მას ჰქონდა ფული და **ხასიათი**“ (ბაქანანიძე 1992).

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში **ხასიათით** გამოხატულია სიმტკიცე, ძლიერება შეუღრეკლობა, შეუპოვრობა... ქართულისათვის სიტყვის ეს მნიშვნელობა უცნობი და უცხოა. სამაგიეროდ, რუსულ ენაში **характер**-ის ერთ-ერთი ძირითადი განმარტება სწორედ ასეთია: **человек с характером — მტკიცე ხასიათის** ადამიანი; **человек без характера — სუსტი ხასიათის** ადამიანი... დავიმოწმით რუსული ენის ლექსიკონი: „– твердая, сильная, воля, стойкость, упорство в достижении чего-либо. Мать его была дворянка, из институток очень доброе и восторженное существо, но без характера однако. Тургенев, “Дым.” — Я хочу показать им, что у меня есть характер, – и покажу! Достоевский, „Село Степанчиково“ (რელ)...

როგორც ვხედავთ, რუსულისათვის სავსებით ჩვეულებრივია, ბუნებრივია სიტყვა **ხასიათის** დამოუკიდებლად გამოყენება, ქართულისათვის კი — მიუღებელი, უცხოა, თითქოს რაღაც აკლია; უსრულ, ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს. აუცილებელია, რომელიმე უკვე დასახელებული ერთ-ერთი მსაზღვრელის დართვა. ყურნალისტებისა და მთარგმნელების „წყალობით“ თანამედროვე ქართულ ენაში ვრცელდება და მკვიდრდება ამ სიტყვის არასწორი, მისთვის შეუფერებელი მნიშვნელობით გამოყენება.

მეორე ნაწილში დასახელებული სიტყვა ხასიათის შემცველი სინტაგმები კალკური დარღვევის ნიმუშებია, რუსული ენის გავლენით მიღებული.

ბ. ახალგაზრდა. ამ სიტყვის ტავტოლოგიური გამოყენების შემთხვევებს (ახალგაზრდა გოგო, ქალიშვილი, ბიჭი, ჭაბუკი...) უკვე შევეხეთ სტატიაში „ტავტოლოგიური დარღვევებისათვის“. ახლა ამ სიტყვის კალკზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

„ქარი ხეებს ტოტებს აგლეჟდა **ახალგაზრდა ნარგავებს** ძირიანად თხრიდა...“ („ფენომ.“);

„...**ახალგაზრდა ნერგებისაგან**... მერე მუხები იზრდებიან...“ (ჩხეტიანი 2007);

„პირველადი მფარავი ქსოვილებისაგან აგებულია ფოთლებისა და **ახალგაზრდა ღეროების**... კანი“ (ბურდილაძე 2007);

„...შესანიშნავი ადგილი იყო **ახალგაზრდა ბალახით** შემოსილი მდელო“ („სარკე“);

„მან მთლიანად გაანადგურა... სასარგებლო ლოკოკინები და ბრინჯის **ახალგაზრდა ნათესებიც** მიაყოლა“ („ილუმ. სამყ.“);

„**ახალგაზრდა კარტოფილი** ბენზინის უქონლობის გამო ღედაქალაქში ვერ შემოზიდეს“ („სოფლ. ცხოვ.“);

„უტრანსპორტობის გამო **ახალგაზრდა კარტოფილი** ადგილზევე უღებოდა“ („ახ. კომ.“);

„რესპუბლიკას **ახალგაზრდა ხახვით** ძირითადად კერძო სექტორი ამარაგებდა“ (იქვე);

„ეს ჭიები **ახალგაზრდა ჭარხლის** ნახ და ტკბილ ფესვებს დაჰხვეოდნენ“... („პიონ.“);

ახალგაზრდა ჭარხალი უტრანსპორტობის გამო ადვილზევე დაუღპა“ („სოფლ. ცხოვ.“);

ახალგაზრდა ნერგი // ნარგავი // ღერო // ბალახი // ნათესი // კარტოფილი // ხახვი თუ **ჭარხალი** ქართულისათვის მიუღებელი სიტყვათშეხამებაა. ნერგი, ნარგავი, ღერო, ბალახი, ნათესი შეიძლება იყოს **ნორჩი**; კარტოფილი, ხახვი და ჭარხალი — **ახალი**. ყველა შემთხვევაში ახალგაზრდა ღერო // ნარგავი // ნათესი // ბალახი არის ინდოევროპული ენების კალკი. კერძოდ, შესაბამისად რუსულის, ინგლისურისა და ფრანგულისა: **молодой стебель // sajeuce, молодая трава // paccada; young stem // plent // crops // grass; jeune lipartore // lesemailles // l'pommies de terre // l'oignon // l'betterave // l'b-ranche**. ეს სინტაგმები ჩვეულებრივი, ბუნებრივი სიტყვათშეხამებებია, სხვაგვარად არც გამოითქმება... ხოლო **ახალგაზრდა კარტოფილი // ხახვი // ჭარხალი** რუსული ენის გავლენით დამკვიდრებული კალკია: **молодая кортошка, молодой лук, молодая свекла**. თუ ინგლისური ორ საზღვრელს იყენებს **ახალგაზრდის** და **ახლის** გამოსახატავად **young man // hourse // so-wing // grass; fresh // potato // beet // onion**, ქართულს სამი მსაზღვრელი სჭირდება: **ახალგაზრდა კაცი // ცხენი**, მაგრამ **ახალი კარტოფილი // ხახვი // ჭარხალი** და **ნორჩი ბალახი // ხე // ნარგავი...**

მხატვრულ ლიტერატურაში, რასაკვირველია, ვხვდებით მართებულ ფორმებსაც, მაგალითად:

„...თხამ **ნორჩ ხეს** ფოთლები არ შემოკორტნოს და არ გააფუჭოს“ (ქარხაძე 1962).

რუსული და სხვა ინდოევროპული ენები ზოგჯერ ვერ მიჯნავს სულიერსა და უსულოს. მათ ერთი და იმავე სიტყვით — **ახალგაზრდით** გამოხატავენ, რაც ქართულისათვის არაბუნებრივ, უცხო და მიუღებელ კალკს წარმოადგენს.

გ. სათვალეები, შორტები, ჯინსები.

ქართული ენისათვის (განსხვავებით რუსული, ინგლისური, ფრანგული ენები) არ არის ბუნებრივი, რომ სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით იყოს წარმოდგენილი და ერთ საგანს ან მოვლენას აღნიშნავდეს. თითქოსდა სადაო და გასარკვევი არაფერია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დასახელებული ენების „წყალობითა“ და წამხედურობით, მრავლობითი რიცხვით გადმოიცემა მხოლობითი. სწორედ ამ მოვლენის დამკვიდრების მცდელობას ვაწყდებით ხშირად.

1. სათვალეები. ეს სიტყვა აღნიშნულ ენებში მხოლოდ მრავლობითის ფორმით გამოიყენება: რუსული — **очки**, ინგლისური — **spectacles**, ინგლ. (ამერიკული) — **eyeglasses**, ფრანგული — **conserves**. ამ ენების გავლენით ქართულშიც, ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, მკვიდრდება ამ სახელის მრავლობით რიცხვში ხმარება.

მართებული გამოყენების შემთხვევებს ვხვდებით:

„...წამყვანები ეთერში **სათვალით** სხედან“ („ელიტ. ქრონ.“);

„ამ ბოლო დროს შემიყვარდა **სათვალე**“ (იქვე);

„ცხოვრებას ვარდისფერი **სათვალით** არ უნდა ვუყუროთ...“ („სარკე“);

„...შესაფერისი მაღალი საყელო ეკეთა და შავ **სათვალეში** იყო“ („სარკე“);

„...ბიჭი იყო... მაღალი, გამხდარი, **სათვალისანი**, ცოტა ასთენიური, ცოტა წითური...“ (იქვე);

„უყვარს სინამდვილის რამდენადმე შელამაზება, შესაბამისად, და ოპტიმისტიც არის, სამყაროს ვარდისფერი **სათვალიდან** უმზერს“ („იდუმ. სამყ.“);

„...ვიკას... ფატა და... ვარდისფერი **სათვალე** ამშვენებდა“ („TV პრ.“)...

თუმცა, უმართებულო ფორმების გამოყენებასაც ძალზე ხშირად ვხვდებით:

„მან... მწერალი ანდრე მონე... გაიცნო, — დაბალი, მკრთალსახიანი, **სათვალეებიანი**, წვრილთვალა კაცი“ („ქალთა გაზ.“);

„**სათვალეებით** სერიოზულ იმიჯს იქმნი, თუ მართლა გჭირდება?“ („ელიტ. ქრონ.“);

„მეორე დღეს ახალი სათვალის ყიდვა ვერ მოვახერხე და ისევ ამ **სათვალეებით** დავჯექი ეთერში“ (იქვე);

„შემოვიდა მამაკაცი, მზის შავი **სათვალეები** ეკეთა“ („სარკე“);

„ვილაცამ მიუყუა. მგონი **სათვალეები** გაუტეხა“ (იქვე);

„ჯონი დები მყურებლის გულელებს იპყრობს ყველანაირ მდგომარეობაში — თხის მაგვარი წვერით, **სათვალეებით**, კოვბოური ქუდი“ (იქვე);

„როგორი გინდათ იყოს თქვენი რჩეული? ... ქერა, შავგვრემანი... კლასიკურ პიჯაკში ...**სათვალეებით**...“ („იდუმ. სამყ.“).

მართებულია ერთი ნივთის აღსანიშნავად მხოლოდ **სათვალის** ხმარება.

2. შორტები. წარმოშობით ინგლისური სიტყვაა **shorts**. ასევე მრავლობითში შეითვისა რუსულმა **шорты**, მსგავსად სიტყვებისა **дьюки, штаны, трусы**... ქართულად ერთ ხელ სამოსზე **შორტების** ხმარება მიუღებელია:

„ქალმა სულელურ ჩალის ქუდში, **შორტებში** და სანდლებში გამოწყობილი ბრიუს უილისი დაინახა“... („სარკე“).

უნდა იყოს:

„არავის აინტერესებს შარვალ-კოსტიუმი აცვია თუ **შორტი**“ („თბ-ები“);

„ზაფხულში არამარტო სახლში, ქუჩაშიც ტრუსის მსგავსი მოკლე **შორტით**... დავდივარ“ („სარკე“).

3. ჯინსები. ეს სიტყვაც წარმოშობით ინგლისურია **jeans** და მხოლოდ მრავლობითი ფორმით იხმარება. ამასვე იმეორებს ფრანგული **jeans** და რუსული **джинсы** ქართულში კი, ძირითადად რუსულის ანალოგიით, მკვიდრდება ერთი ნივთის მრავლობითით აღნიშვნა. მართებული ფორმით გამოყენება ორივე რიცხვში გვხვდება:

მხოლოდითი:

„...იმას ვიცვამ, რაშიც თავს კომფორტულად ვგრძნობ და ეს არის მაისური, კედები და **ჯინსი**“ („სარკე“);

„არ არსებობდა, სკოლაში **ჯინსი** ჩაეცვა, ყოველთვის მოსწავლის ფორმით დადიოდა“ (იქვე);

„— როკის შესაბამისი ჩაცმა რას ნიშნავს, ალბათ ვიწრო **ჯინსი** უნდა

მეცვას... („რეიტ.“).

„**ჯინსის** უკანა ჯიბეში... სანადირო დანა უდევს...“ (ასათიანი).

მრავლობითი:

„...ორივეს წვერი მოეშვა, გახეხილი **ჯინსები** და ზოლიანი მაისურები ეცვათ“ (ჭანუყვაძე 2007);

„ხუთმანეთიან კედლებით, ბაჯაღლო ოქროს კეთებით!

შვიდმანეთიან **ჯინსებით**, მილიარდერის ღირსებით!“ (ლებანიძე)...

„ჩემი ტოლი, **ჯინსებში** ჩაცმული ბიჭები იყვნენ...“ („რეიტ.“).

სამწუხაროდ, უმართებულო ფორმები აშკარად ჭარბობს:

„კაცს გრძელმკლავებიანი პერანგი და ცისფერი **ჯინსები** ეცვა, მხარზე თხელი ქურთუკი ჰქონდა გადაკიდებული“ („სარკე“);

„—როდის გრძობთ თავს სექსუალურად? — მაშინ, როცა მაცვია **ჯინსები** და მოტმასნილი ტოპი“ (იქვე);

„მის წინ... გოგონა იდგა, ვიწრო, გახეხილი **ჯინსებით**“ (იქვე);

„...მაგრამ თუ მაინცდამაინც შარვალს ატარებთ, იცოდეთ, რომ მამაკაცებში ყველაზე მეტ დადებით რეაქციას **ჯინსები**... იწვევს“ („ახ. თაობა“);

„...**ჯინსები** და შავი მაისური გამოაძვრინა“ („სალიტ. გაზ.“);

„გინდათ თქვენი რჩეული იყოს მაღალი, ათლეტური, კლასიკურ პიჯაკში თუ **ჯინსებში**“... („იდუმ. სამყ.“);

„**ჯინსები** და მაისური — აი, ყველაფერი, რაც მე მჭირდება“ („ელიტ. ქრონ.“);

„...შავ პერანგსა და შავ **ჯინსებში**, ფეხშიშველი... ჰოფმანი მინიბარისაკენ მიტყაპუნებს...“ („TV პრ.“);

„ცერემონია ერთობ უჩვეულო და „თვალშისაცემი“ გახლდათ: დახეულ **ჯინსებსა** და უბრალო მაისურში „გამოწყობილი“ პატარძალი“ (იქვე);

„...ლინდსიმ **ჯინსების** უკანა ჯიბისაკენ წაიღო ხელი...“ (იქვე)...

საინტერესოა, რომ ორმოციოდე წლის წინათ ბ-ნმა მ. ჭაბაშვილმა თავის სტატიაში მრავლობით რიცხვში ხმარებულ არსებით სახელთა შესახებ განიხილა ათიოდე სახელი (აბლოდისმენტები, ბითლზები, კლავიკორდები, კომიქსები, კორტესები, კურანტები, რეიტუზები, სათვალეები, ტრუსები, ციმბალები, ჯუნგლები). ავტორი მიიჩნევდა, რომ ეს სიტყვები ქართულში შემოვიდა ზეპირი გზით მრავლობითის ფორმით, ლიტერატურაში ჯერჯერობით იშვიათად გვხვდება (ჭაბაშვილი 1972, 114).

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულში (იქნება ეს პრესა, რადიო, ტელევიზია, თუ მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით თარგმნილი) უკვე აქტიურად იხმარება ერთი საგნის აღსანიშნავად მრავლობითი რიცხვი.

განხილული სიტყვები მრავლობითის ფორმით შემოსულია იმის გამო, რომ ყურნალისტის, მთარგმნელის (ან, საერთოდ, უცხო ენის მცოდნე პირის) ცნობიერებაზე გავლენას ახდენს ძირითადად უცხო ენის მრავლობითის დაბოლოება (სიტყვის გარეგნული, გრამატიკული მხარე). ეს მხოლოდობითი და მრავლობითი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

ასეთი ფორმები სალიტერატურო ენაში გაუმართლებელია. ქართული ენის ტრადიციის მიხედვით, მსგავს შემთხვევებში მრავლობითი რიცხვი მიუღებელია.

ამრიგად, **სათვალე, შორტი, ჭინსი** თუ სხვა რომელიმე არსებითი სახელი და ყველა ანალოგიური მაგალითი, აშკარად მიუთითებს, რომ საუბრი ეხება ერთ კონკრეტულ ნივთს და აუცილებელია მისი მხოლოდობითი რიცხვით გადმოცემა.

სხვათა ენის ბრმად მიყოლა და გაუაზრებლად მიბაძვა ენას კი არ ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს, სამწუხაროდ, მხოლოდ აღარბებს და ანაგვიანებს.

ლიტერატურა

ჩიქობავა 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

ჭაბაშვილი 1972 — მ. ჭაბაშვილი, „მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ ქართულში“, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, № 1, თბილისი, 1972.

წყაროები

„**ახ. ივერ.**“ — გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“.

„**ახ. კომ.**“ — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“.

ბაქანიძე 1992 — ა.კრისტი, ხუთი გოჭი, ლ. ბაქანიძის თარგმანი, თბილისი, 1992.

ბურდილაძე 2006 — ლ. ბურდილაძე, ბიოლოგია, 8 კლ., 2006.

„**ელიტ. ქრონ.**“ — ჟურნალი „ელიტარული ქრონიკა“.

„**თბ.-ები**“ — ჟურნალი „თბილისელები“.

„**იდ. სამე.**“ — გაზეთი „იდუმალეების სამყარო“.

მალრაძე 1970 — მაინ რიდი, თეთრი ბელადი, ე. მალრაძის თარგმანი, თბილისი, 1970.

რელ — Словарь русского языка, 4, М., 1988.

„**რეიტ.**“ — ჟურნალი „რეიტინგი“.

„**სალიტ. გაზ.**“ — გაზეთი „სალიტერატურო გაზეთი“.

ტ. 2 — საქართველოს ტელევიზიის მე-2 არხი.

„**TV პრ.**“ — გაზეთი „TV პროგრამა“.

„**სარკე**“ — ჟურნალი „სარკე“.

„**სოფლ. ცხოვრ.**“ — გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

„**ფენომ.**“ — გაზეთი „ფენომენი“.

„**ქალთა გაზეთი**“ — გაზეთი „ქალთა გაზეთი“.

ქარჩხაძე 1962 — ძმები გრიშები, ზღაპრები, ჯ. ქარჩხაძისა და გ. წერედიანის თარგმანი, თბილისი, 1962.

ქეგალ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

- ჩხეტიანი 2007** — „გარდატეხა“, გ. ჩხეტიანის თარგმანი, თბილისი, 2007.
- ჩხეტიანი 2007** — კ. ჰიუზო, „ტრენტის უკანასკნელი საქმე“, გ. ჩხეტიანის თარგმანი, თბილისი, 2007.
- ძოწენიძე 1977** — საზღვარგარეთის ლექსები, 1, ნ. ძოწენიძის თარგმანი, თბილისი, 1977.
- ჭანუყვაძე 2007** — გ. ჭანუყვაძე, „ისევ თენდება“, თბილისი, 2007.
- ჯავახიშვილი 2006** — მ. ჯავახიშვილი, „ემმაკის ქვა“, მშობლიური ლიტერატურა, 8, თბილისი, 2006.

VAKHTANG A. MAGRADZE

On Several Calques

S u m m a r y

It is each person's obligation to protect purity of language, culture of oral or written speech.

Especially media (press, television, radio, electronic media) representatives and translators should feel special responsibility in connection with language purity.

Sintagmatic as well as semantic translation loan words are often used.

a) In Georgian **mood** means various spiritual condition. There exist: good, heavy, joyful, etc. moods. It is unacceptable for Georgian to use word **mood** independently. It used without any determinant it lacks something. Therefore, it is necessary to have some kind of determinant.

b) Georgian is able to use three determinants in some cases: young (**axalgazrda**) woman, fresh (**axali**) potato, young (**norči**) grass. Whereas, in some Indo-European languages (e. g. Russian) all three determinants are given in the same word (молодая – young).

c) It is not natural for Georgian (unlike Russian, English, French languages) word to be used in plural with the singular meaning:

“**satvale**” – “**satvale-eb-i**” – spectacles, glasses;

“**šorti**” – “**šhort-eb-i**” – shorts;

“**žinsi**” – “**žins-eb-i**” – jeans...

All above mentioned forms are incorrect and unacceptable for Georgian.